წელიწადი პირველი. თბილისი, ოთხშაბათი 12 ივლისი, 1906 წ. ცალკე ნომერი 3 კ.

# ახალი ცხოვრება

№ 18. ყოველ დღიური გაზეთი № 18.

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ახალ ცხოვრებაზე“.

გაზეთი ღირება:

**თფილისში:** წლიურათ—5 მ., ექვსი თვით—2 მ. 50 კ., თვიურათ—50 კ.
**ქალაქს გარეთ:** წლიურათ 6 მან. ექვსი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба“.

## დ. ხაშურსა და სურამში.

10 ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებზე წლიურათ, ნახევარი წლით და თვიურათ. გაიყიდება ცალკე ნომერიც.

**პორფილე მელაძე.**

## თფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ სამუშაოზე მიღებული უმუშევარი ინტელიგენტები უნდა გამოცხადდენ ხოლმე დილის 9 საათზე მოწმობებით თითეული თავის ნაწილში, ქალაქის შემდეგ შენობაში:

პირველი ნაწ.

იზმაილოვის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. საქალაქო შკოლა.

მეორე ნაწ.

მამ დავითის შკოლა. გამრეკელის სახლი.

მესამე ნაწ.

პუშკინის ბიბლიოთეკა.

მეოთხე ნაწ.

ქალაქის თვითმმართველობაში.

მეხუთე ნაწ.

სახელოსნო სასწავლებელი. ესკაროვის მოედანი.

მეექვსე ნაწ.

ხარფუხის შკოლა. არბუზნი მოედნის ზემოთ.

მეშვიდე ნაწ.

საქალაქო შკოლა. მელიქოვის ს., ბებუთიანცის მაღაზიის მახლობლათ.

მეცხრე ნაწ.

საქალაქო შკოლა, ავჭალის ქ., 72.

მეათე ნაწ.

ციდუბე, საგურამოს ქუჩა, კუთხიდან მეორე სახლი. საქალაქო შკოლა.

(1—1)

## დაშლილი სათათბირო და შეკავშირებული ქუჩა.

მაშ ასე. სათათბირო დაითხოვეს. „ხალხის მოციქულებმა“ ვერ დამალეს თვითმპყრობელობა. თვითმპყრობელობამ-კი „ერთი დაკვრით“ დამალა სათათბირო. ცრუ იმედები იფანტება. ირკვევა, რომ ხალხის ხსნა ხალხისავე ხელში ყოფილა; ირკვევა, რომ ძველი წესების დასამარება ქუჩამ უნდა მოახდინოს; „სადაო კითხვის“ გადაჭრა ისევ ქუჩას მიენდო... ქუჩას კი ვერ დაითხოვს თვითმპყრობელობა, დიახ ვერ დაითხოვს...

დათხოვილი დეპუტატები ბოიკოტისტების ქვეყანაში წავიდნენ, ფინლიანდიაში. მათ აქ უნდოდათ განეგრძოთ თავიანთი მუშაობა და დეკლარაციებით მიემართათ ხალხისთვის. ეს, რა თქმა უნდა, დიდ გავლენას იქონიებდა, ხალხს თვალს აუხელდა. სწორეთ ასე უნდა მოქცეულიყვნენ ხალხის წარმომადგენლები. მაგრამ სათათბირო გენერალური შტატები არაა: მას არა აქვს არც მისი უნარი, არც მისი შეძლება. და აი ტელეგრამა გვამცნობს, რომ სათათბიროს უმეტესობამ, კადეტებმა და სხვებმა, პირველ სხდომაზევე განაცხადეს: კანონის ძალით, ჩვენ ხალხის წარმომადგენლები აღარა ვართ, ჩვენ ვერ განვაგრძობთ ბრძოლას, ჩვენ უნდა დავიშალნეთო—მხოლოთ მუშებისა და გლეხების დეპუტატები დარჩნილან და მზათ არიან ბრძოლა განაგრძონ. დიახ, „არ გათეთრდება ყორანი“,—კადეტები სხვანაირათ ვერც მოიქცეოდნენ. აქაც იფანტება ცრუ იმედები და ირკვევა, რომ კადეტები ხალხის მოღალატენი ყოფილან: სანამ საქმე ლაპარაკში იყო, ან და სანამ კითხვა კადეტების სამინისტროს ეხებოდა, კადეტები ადგილზე იყვნენ და ენაპარტალობდნენ, მუშებისა და გლეხების ორატორებს არც-კი ალაპარაკებდნენ, —მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, იგივე კადეტები ბრძოლის ველიდან გარბიან და სოროებში იმალებიან... ამას არ დაივიწყებენ მუშები და გლეხები!.. ცრუ იმედები იფანტება და ირკვევა, რომ მხოლოთ მუშებისა და გლეხების წარმომადგენლები არ უღალატებენ ხალხს, მხოლოთ ისინი შერჩებიან ბოლომდე ბრძოლის ველს და მხოლოთ ისინი გამოიჩენენ რაიმე რევოლიუციონურ თაოსნობას. თქმა არ უნდა, რომ ხალხიც მათ დაუგდებს ყურს.

ცრუ იმედებისგან განთავისუფლებული ხალხი დღეის იქით უფრო მაგრა დადგება საკუთარ ფეხზე. ის მიხვდება, რომ ხალხის განთავისუფლება ხალხისავე ხელით უნდა მოხდეს, მიხვდება და მედგრათ გადაერევა რევოლიუციის ტალღებში.

ეს კარგათ იცის რეაქციამ და ამიტომ არის, რომ დაუღალავათ აწყობს პროვოკაციის ქსელს.

მაგრამ რევოლიუცია არ გაჰყვება რეაქციის პროვოკაციას, **ის არ უნდა გაჰყვეს ამ პროვოკაციას!**

**დეპუტატები ვიბორგში შეიკრიბენ.—კადეტებმა ხელი დაიბანეს: ჩვენ ამიერიდან ხალხის წარმომადგენელნი აღარ ვართო.—სახელმწიფო საბჭოც დაითხოვეს.—რაიგის გზებზე 11 დეკემბრის წესები გამოაცხადეს.—პეტერბურგში მუშათა დეპუტატების ახალი საბჭო შესდგა.—სამხედრო და ზავლიერებულ წესებმა იმატა.**

რევოლიუციის მეთაურს — მებრძოლ პროლეტარიატს - ბევრი რამ შეუძლია დღევანდელ რევოლიუციაში, მან რამდენჯერმე დაამტკიცა თავისი რევოლიუციონური სიმწიფე. მაგრამ თუ აქამდე არ კმაროდა მარტო პროლეტარიატის ძალა, დღეის იქით უფრო არ იკმარებს. ძველი წესების დასამსხვრევათ მას ძლიერი მოკავშირე ეჭირვება. ეს დროებითი მოკავშირე კი რევოლიუციონური გლეხობაა.

რუსეთის გლეხობა დღემდის რყევაში იყო, ის სავსებით ვერ ემხრობოდა რევოლიუციონურ პროლეტარიატს. მაგრამ დღეს საქმე სხვანაირათ დატრიალდა. უკანასკნელმა ამბებმა სამუდამოთ უნდა გაფანტოს გლეხების ცრუ იმედები. მას ვერც მიწა მისცეს, ვერც თავისუფლება; პირიქით, სათათბიროც კი წაართვეს ცალკე კიდევ კადეტებმა უღალატეს. ცხადია, გამარტოვებული გლეხობა საკუთარ ფეხზე უნდა დადგეს და პროლეტარიატის გარშემო მოიყაროს თავი—მხოლოთ პროლეტარიატი „არ გაჰყიდის“ მას. აი სად შეუძლიათ სათათბიროს შემარცხენებს დიდი როლი ითამაშონ დღევანდელ რევოლიუციაში. დეე, გაიქცნენ კადეტები, დეე, დაიმალოს სათათბირო, — მემარცხენეთა საერთო დეკლარაციები, მათი რევოლიუციონური სიტყვა მალამოსავით მოხვდებოდა გულში რევოლიუციონურ გლეხებს, პროლეტარიატის გარშემო შემოჰკრებდა მათ და, ამგვარათ, მჭიდროთ შეაკავშირებდა ქუჩას. ეს მით უფრო შესაძლოა, რომ მუშები და გლეხები ისედაც კავშირდებიან, ცხოვრების ძალდატანებით. სწორეთ აქეთ უნდა ეჭიროს თვალი პროლეტარიატს. მან კარგა უნდა იცოდეს, რომ გლეხებთან დროებითი კავშირი სხვა მხრივაც საჭიროა მისთვის. სალდათი — ეს სოფლის ღვიძლი შვილი — გლეხებს უფრო ყურს უგდებს ის გლეხთა მოძრაობის დროს უფრო მეტ სიფხიზლეს იჩენს. მართალია, გლეხობა პროლეტარიატმა გამოაღვიძა, მაგრამ სალდათების ფართე მასსამ მხოლოთ მაშინ იბრუნა პირი რევოლიუციისკენ, როცა გლეხობამ ხმა ამოიღო. ეს არ უნდა დაივიწყოს პროლეტარიატმა.

დიახ, დაშლილ სათათბიროს შეკავშირებული ქუჩა უნდა მოჰყვეს, სათათბიროს ნანგრევ ზე ქუჩის სიძლიერე უნდა აშენდეს — აი როგორ უდა დაიმალოს ხალხის თავისუფლება.

კობა

## ახალი ამბები

10 ივლისს აბას-აბადის მოედანზე კაზაკებმა გაჩხრიკეს მეჩექმის დუქანი, წაიღეს ორი ვერცხლის ქამარი და ერთი საათი.

✦ გუშინ, 10 ივლისს ელექტროტექნიკ მუშების თხოვნაზედ, რომლებსაც უნდოდათ კრება გაემართათ პროფესიონალურ კავშირის მოსაწყობად, გენ.-გუბ. ტიმოფეევმა უპასუხა: „საომარ დროის წესების მოხსნამდე არავითარი კრება ნებადართული არ იქნება“.

✦ 9 ივლისს დაიკარგა ოთხი წლის ქალი სახელად მარუსკა. ნიშნები: შავი თმა, წითელი კაბით, შავი ჩუსტებით. მნახველს პატრონები სთხოვენ მიიყვანონ, მეშვიდე საპოლიციო ნაწილში, სუპკარაპეტის ქუჩაზე, არაქელიანის სახლში № 35 ავეტის პოლოსოვისას.

✦ 8 ივლისს საღამოს 10 საათზე ვიღაც უცნობმა რევოლვერით მოჰკლა რკინის გზის სახელოსნოს მუშა სტეპან სიდოროვი. მკვლელი მიიმალა.

✦ ამ დღეებში თფილისში დაბრუნდენ თფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მოწაფენი, რომელნიც წაყვანილი იყვნენ პეტერბურგსა და მოსკოვში ფაბრიკების დასათვალიერებლათ.

✦ ქალაქის 8 ნაწილის მცხოვრებნი სთხოვენ ქალაქის გამგეობას გაგვანთავისუფლეთ უძრავ ქონებაზე არსებულ სახელმწიფო და საერობო გადასახადებიდან.

✦ შაბათ 15 ივლისს ნერსესოვის ქუჩაზე დანიშნულია კრება თფილისის მოქალაქეთა რწმუნებულების; კრებამ სხვათა შორის უნდა აირჩიოს დეპუტატები საოჯახო ადმწერთა დასახმარებლათ. ქალაქის გამგეობამ ასეთივე წინადადება მისცა ვაჭართა მამასახლისს.

✦ ლენქორანიდან გვატყობინებენ, რომ აქ დატუსაღებიათ ხუთი ყაჩაღი, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში იკლებდენ და ცარცვავდენ ადგილობრივ მცხოვრებთ.

✦ იქიდანვე იტყობინებიან, რომ 4 ივლისს ლენქორანის ბოქაულს მოუკლავს სპარსეთის ქვეშევრდომი ყაჩაღი მუსა ნადჟი-ოგლი, რომელიც 15 წელიწადია ყაჩაღობდა სპარსეთსა და ლენქორანის მაზრაში.

✦ როგორც გორიდან გვაცნობებენ, იქ მოუკლავს ვიღაც უცნობს მღვდელი დოლიძე.

✦ უსაქმოთ დარჩენილი ინტელიგენტთა ბიურო აცხადებს, რომ იმ პირებს რომელნიც შემოწმებულ სიაში შეტანილი არიან და 12 ივლისს 12 საათამდე მოწმობას არ მიიღებდენ, სამუშაო აღარ მიეცემათ; ხოლო იმათ ადგილზე მიღებულნი იქნებიან შემდეგ ჩაწერილი კანდიდატები.

ამის შემდეგ ახალი წევრების ჩაწერა, განცხადების შეტანა და ცნობების მიღე-

ზა შეიძლება პუშკინის სასწავლებელში 9 საათიდან 1 საათამდე, გარდა კვირა უქმე დღეებისა.

✦ 11 ივლისს ღამით პასტერის ქუჩაზე ვილაც უცნობმა კ. დელი-ოგლამოღლის, სახლიდან გაიტაცეს სხვა და სხვა ნივთი ღირებული 2,120 მან. პოლიციამ აღმოაჩინა სამი ბოროტ-გამზრახველთაგანი ს. ქურთიშვილი, გ. ირემაშვილი და ი. მარგუნენკო, რომელთაც უპოვეს 960 მანეთის გატაცებული ნივთი.

✦ 10 ივლის, დილის ცხრის ნახევარი იქნებოდა, რომ რკინის გზის ფეხის ხიდის ცოტა მოშორებით რევოლვერით მოკლეს გოროდოვოი, რომელსაც კარგათ იცნობდნენ ნაძალადევის მცხოვრებნი. დარწმუნებული არიან, რომ პრავოკატორულის მიზნით არის მომხდარი ეს საზიზღარი მკვლელობა; ამიტომ დღეის შემდეგ თვალ-ყურს ადევნებენ მცხოვრებნი და ვისაც კი აღმოაჩენენ სერიოზულათ დასჯიან. ერთ პრავოკატორზედ კიდევაც აქვთ ეჭვი მიტანილი.

✦ გუშინ 1 საათზე პოლიციელებმა გაჩხრიკეს სომხური გაზეთის „ალიქის“ რედაქცია, მაგრამ ვერაფერი იპოვეს.

✦ გუშინ 12 საათზე 4 შეიარაღებული უცნობი თავს დაესხა კასირს ვ. კანაველოვს, რომელსაც 3500 მანეთი გამოქონდა დამზღვევ საზოგადოების „ნადეჟდიდან“. თავდამსხმელებმა გაიტაცეს ფულები და გაიქცნენ, მაგრამ ორი მათგანი ფულებით ხელში დაიჭირა კაზაკებმა. ორი კი მიიმალა. დატყვევებულები აღმოჩნდენ ამროსი კოხანაშვილი და ალექსანდრე ამილახვარი.

✦ ოთხ ამ თვეს, როგორც მოხსენებული გვქონდა, სვანეთისაკენ გაემგზავრა ჯარი. 500 კაცამდე ტყვიის მტყორცნელებით. ამით შეშინებულ სვანებს ოჯახობა ტყეებში გაუხიზნავთ. სვანები თითქმის ყველა მოთხოვნილებას ასრულებენ, მხოლოთ თავადებს ვერ დაეგებიან ფეხ-ქვეშ. 7 ამ თვეს ჯარი ლაშხეთისაკენ გაემგზავრა „შრომა“.

✦ როგორც „შრომას“ ატყობინებენ, 9 ივლის შუშიდან გერიუსში მიმავალ ფოსტას თავს დაესხნენ ავაზაკები, ასტყდა სროლა. ავაზაკებმა მოჰკლეს ორი სტრაჟნიკი და დახოცეს ცხენები. შემდეგ გახსნეს ფულიანი პაკეტები და ფული წაიღეს, შემთხვევით დარჩათ ფულის აზგა.

✦ 15 ივლისს სამხედრო სასამართლოში დანიშნულია განსახილველათ საქმე ოსის კოზაშვილისა, რომელსაც ვატმანის მოკვლის განზრახვა ბრალდება.

✦ მეტეხის ციხეში დატუსაღებულ ამხ. **ანდრონიკაშვილთან**, როცა მას თურმე ეძინა, შუაღამეზე მისულა ციხის ადმინისტრაცია და განუცხადებია თავისუფალი ხარო. ანდრონიკაშვილს აუღია თავისი ბარგი და გამოსულა, როცა ქუჩაში გამოუშვიათ, ზორი-ახლოს უკან დასდევნებია უბნის ზედამხედველი, რომელსაც სატუსაღოს ცოტა მოშორებით დაუჭერია და ალექსანდროპოლისაკენ წაუყვანიათ. როგორც სჩანს, ციხის ადმინისტრაცია რაღაც ინციდენტს მორიდებია და ამიტომ უხმარია ასეთი ხერხი. („სიმართლე“)

—

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში „რედაქციის შენიშვნაში“ შეცდომით იყო დაბეჭდილი სიტყვები: **„გაზეთების დამტარებლები;“** უნდა ყოფილიყო: **„გაზეთების გამყიდველნი“**. იმავე ნომერში შეცდომით იყო: ბოიკოტს ვუცხადებთ **ბატულიანცსო.** უნდა ყოფილიყო: ბოიკოტს ვუცხადებთ **ბატულიანცს.**

## პრესა

ამხ. ბრადიაგა განაგრძობს თავის მოთხრობას (იხ. „სიმართლე“ № 5). რაც კი რომ მამა პაპას ზღაპრათ უამბნია, მას ყველაფერი სიმართლეთ მიუღია და გულუბრყვილოთ ქიქიკებს თავის „პაწია“ წერილში: მე მენშევიკებს იმიტომ ვემხრობი, რომ ბოლშევიკებს „ყალბი“ პოზიცია აქვთო. მართალს ამბობ, ჩვენო მოამბე? ძალიან კარგს იზამდი, რომ ფაქტებით დაამტკიცებდე შენს მოთხრობას. ბრადიაგა თავის „ოთხ საბუთზე“ გვითითებს. მაგრამ ამ ოთხ „საბუთში“ ორი მოგონებულია, მოჭორებულია (იხ. ამის შესახებ „ახ. ცხოვ.“), დანარჩენი ორი საეჭვო საბუთებია, რომლებიც ჯერ არ გაუმართლებია მას და ვერც გაამართლებს. პირველი ორი საბუთის გამო ამხ. კობა ამბობდა, რომ ბოლშევიკები უარს არ ჰყოფენ ბანკეტებში და „კრიმგირის კამპანიაში“ მონაწილეობას. ამის დასამტკიცებლათ კობას ფაქტები მოჰყავდა (იხ. ცნობილი № „ახ. ცხოვ.“). ბრადიაგა გვერდს უხვევს ამ ფაქტებს, არავითარი მოწინააღმდეგე ფაქტები არ მოჰყავს თავის წერილში და, ამავე დროს, თამამათ გაიძახის: ეს „კობას იეზუიტობააო“. [illegible], რისთვის, „სტროგო“ და პატიოსანო „კრიტიკოსო“? საიდან გამოიყვანე „კობას იეზუიტობა“? განა ფაქტების მოყვანა იეზუიტობაა? ეგრე ხომ ადვოკატებიც ლაპარაკობენ შავის გასათეთრებლათ! რატომ მოგინდომებია ადვოკატების მიბაძვა? სირცხვილია, სირცხვილი!.. რაც შეეხება დანარჩენ „ორ საბუთს“ (ერობა და სათათბირო), ისინი ორივე ბოიკოტს ეხება, და ერთი მათგანის გაბათილება მეორის გაბათილებასაც მოასწავებს: ამიტომ იყო, ჩვენი აზრით, რომ კობა აღარ შეეხო ერობის ბოიკოტს და პირდაპირ სათათბიროს ბოიკოტზე გადავიდა — თუ კობა სათათბიროს ბოიკოტს დაასაბუთებდა ამით ერობის ბოიკოტიც დასაბუთებული იქნებოდა. ბრადიაგას ეს უნდა სცოდნოდა — ის ისე გულუბრყვილო არ არის — მაგრამ ის მაინც იძახის: კობამ ერთი საბუთი „სულ დაივიწყაო“. ასე იქცევა ყველა, ვისაც სიყალბე და ავკაცობა ხელობათ აურჩევია. დანარჩენს აღარ ვეხებით, ბრადიაგას მოთხრობის დასასაბუთებლათ ესეც კმარა.

## კავკასია

**სოფ. ველის ციხე.** სიღნაღის მაზრა. გამოიღვიძა ჩვენმა მხარემაც. გუშინ თუ სალათას ძილით იყვნენ შებოჭილი ჩვენი გლეხები, დღეს თვალები მოიფშვნიტეს და ხმა აღიმაღლეს. შეიგნეს, თუ ვინაა მათი მტერი და იერიშიც მიაქვთ მათზე. 2 ამ თვეს შეიკრიბა აქაური გლეხკაცობა და მივიდა იმ ადგილას, სადაც მამასახლისმა თავისი საკუთარი სურვილით სასოფლო ადგილი გააქირავა, და ფულებს ჯიბეში ჩხრიალი გაადინა, — სოფლის საზოგადოებას დანაკლისის ღმერთი მისცემსო. ან განა გასამტყუნარია ჩვენი დავით გერასიმოვიჩი? გლეხებმა რა იციან ფულის მოხმარება: მაზრის უფროსი და სხ. რომ მოვლენ, აბა გლეხები ხომ ვერ გაუმართავენ სადილს „ალაზნის“ პირზე. და აი სწორეთ ხალხთ ამდენმა აუტანელმა მისმა თარეშმა და თვითნე-

# ფელეტონი

## რა არის ჩვენთვის საჭირო?

(საუბარი მუშებთან)

წაკითხული გექნებათ, ან ალბათ გეტყოდა ვინმე, მკითხველო, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ისტორიას. ბევრჯერ აგიტოკებდა გულს ხალხის თავ-დადებული ბრძოლა და მისი ლიადი გამარჯვება. რაკი მან ძველი წესები საბოლოოთ შეიძულა, რაკი ამ წესების უვარგისობა ხალხს ძვალსა და რბილში გაუჯდა, რაკი მისი მოსპობა არსებით კითხვათ გადაიქცა, — ხალხი არ დრკებოდა არავითარი გაჭირვების წინაშე, მას აღარ აშინებდა არც გილიოტის მიერ მოგონილი თავ-საკვეთი მანქანა. ის მუდამ მზათ იყო პირველი მოწოდებისათანავე ქუჩაში გამოსულიყო იარაღით ხელში და ან მთლათ გაწყვეტილიყო, ან თავისუფლება დაეცვა. იქნება გულ აღელვებულს გითქვამს კიდევაც: ნეტავ ამ ერთი სულით, ერთი გულით და ერთი გრძნობით გატაცებულ ხალხში ვყოფილიყავ იმ დროს, როცა ისინი მიდიოდენ ბასტილიის ასაღებათ ან ტიულიერის სასახლის დასანგრევათ...

დიახ, ბევრჯერ აგაღელვებდა ამ ხალხის თავ-განწირული ბრძოლა, მაგრამ ბევრჯერ აგაშფოთებდა, ალბათ, ის გარემოებაც, რომ ეს ძლევა-მოსილი ხალხი ხშირათ უბრალო რამით სტყუვდებოდა და მარცხდებოდა. რამოდენიმეჯერ მიაღებინეს მეფეს ფიცი კონსტიტუციისა და ერის ერთგულებაზე და მეფემ მუდამ გატეხა ეს ფიცი; რამოდენიმეჯერ აპატია ხალხმა ეს ღალატი მეფეს და შემდეგ აუარებელ მსხვერპლათ უჯდებოდა მას ეს პატიება, მაგრამ საკმარისი იყო ამ გულღვარძლიან მეფეს ხალხის ძალდატანებით დაეძახა: „გაუმარჯოს კონსტიტუციასო“, ან კიდევ საკმარისი იყო ნაციონალური, ახლათ შემოღებული წითელი ქუდი დაეხურა ამავე პირ-სისხლიან მეფეს, — რომ ხალხი აღტაცებით აღვსილიყო და ერთხმათ ეგრიალა: „ჩვენს მეფეს გაუმარჯოსო“! საკმარისი იყო ერთ რომელიმე ბურჟუაზიულ ორატორს მხურვალე სიტყვა წარმოეთქვა, — რომ ხალხს მისთვის ტაში დაეკრა და თავისავე ინტერესების წინააღმდეგ ამხედრებულიყო ამ ორატორის ხელმძღვანელობით... დიახ, ბევრჯერ აღელდებოდი, მკითხველო, ხალხის თავდადებული ბრძოლით, მაგრამ ბევრჯერ აგაშფოთებდა ამავე ხალხის უზომო გულ-უბრყვილობა და მისი ხშირ-ხშირი დამარცხებანი.

რატომ ემართებოდა ასე საფრანგეთის ხალხს, რა იყო ამის მიზეზი?

დღეს ჩვენს ირგვლივაც იგივე ხდება, რაც საფრანგეთში დიდი რევოლიუციის დროს. ჩვენ რევოლიუციონურ ხანაში ვცხოვრობთ. ჩვენს გარშემო რევოლიუცია ხდება და ჩვენც ამ რევოლიუციაში ასე თუ ისე მონაწილეობას ვღებულობთ. როგორ უნდა მოვიქცეთ რომ არ გავიმეოროთ საფრანგეთის ხალხის შეცდომები?

რა არის ჩვენთვის საჭირო?

ერთხელ ერთ მიტინგზე ერთმა ამხანაგმა ამნაირათ გამოხატა ამ კითხვის მოკლე პასუხი: თავში სოციალდემოკრატიული შეგნება, გულში რევოლიუციონური ცეცხლი და ხელში მჭექარე თოფი — აი რა არის ჩვენთვის საჭიროვო. ამას უნდა დაუმატოთ ერთი რამ, სახელდობრ მჭიდრო პარტიული კავშირი, და პასუხი მთელი იქნება, შეიძლება ამხანაგმა მჭიდრო პარტიული კავშირი სოციალდემოკრატიულ შეგნებაში იგულისხმა, მაგრამ მე კი ცალკე საჭიროებათ, მეოთხე საჭიროებათ უნდა ჩავთვალო იგი.

გავარჩიოთ თვითეული მათგანი.

საფრანგეთის დიდი რევოლიუცია და ჩვენი დროის, რუსეთის რევოლიუცია იმით წააგავს ერთმანერთს, რომ ისიცა და ესეც ფეოდალური ნაშთების წინააღმდეგ იყო მიმართული, ისიცა და ესეც ორივე ბურჟუაზიული რევოლიუციაა. განსხვავებაც, სხვათა შორის, იმაშია, რომ საფრანგეთის მებრძოლი ხალხი არ იყო ისე შეგნებული, როგორც დღეს რუსეთის ხალხია. რუსეთის მებრძოლმა ხალხმა უკეთ იცის ვინაა მისი მტერი და ვინ მოყვარე? როგორია მათი მოწინააღმდეგეთა ინტერესები და როგორ იცავენ ისინი ამას? რა თქმა უნდა ამ ცოდნის სათავეში პროლეტარიატი დგას, ის არის მეღროშე უკეთესი ცოდნისა და ბრძოლის; მაგრამ რადგან დანარჩენი ხალხი მთლათ მას მიყვება უკან, ამიტომ სრული ჭეშმარიტებაა ის, რომ რუსეთის მებრძოლი ხალხი საერთოთ მაღლა დგას საფრანგეთ დიდი რევოლიუციის მებრძოლ ხალხზე.

რანაირ ცოდნაზე გვაქვს ჩვენ ლაპარაკი, რანაირი შეგნებაა ჩვენთვის საჭირო?

რა თქმა უნდა — სოციალდემოკრატიული.

რა არის სოციალდემოკრატიული შეგნება? ეს ისტორიის მსვლელობის ცოდნაა, ეს საწარმოვო ძალთა განვითარების შეგნებაა, ისტორიული მსვლელობის წინააღმდეგ სვლა ტყვილა უბრალოთ ძალღონის დაკარგვაა, ნ თუ მის დაგუბებას დავიწყებთ ეს დიდხანს არ შეგვრჩება, — ეს გუბე გადმოხეთქს და მაინც წაგვიტაცებს თავის მიმდინარეობაში. მაშ შეგნებულათ უნდა გავყვეთ ჩვენ ამ ისტორიულ მსვლელობას, ხელი შევუწყოთ მის მიმდინარეობას და ასე გავაადვილოთ და დავაჩქაროთ მომავალი წყობილების დამყარება. რანაირია ეს მომავალი წყობილება? მომავალი წესწყობილება უნდა იქნეს სოციალისტური. საწარმოო ძალთა განვითარების შესწავლა აშკარათ დაგვანახვებს, რომ კაპიტალისტური წესწყობილების შემდეგ უნდა დამყარდეს სოციალისტური წესწყობილება, სადაც არავითარ დაჩაგვრას, არავითარ დამონავებას ადგილი არ ექნება. ვინ არის დღეს ასეთ წესწყობილებაში დაინტერესებული და ვინ არა? ამ ორი კითხვის მიხედვითაა დაყოფილი დღევანდელი საზოგადოება, ჩვენი საზოგადოება შესდგება ორი უმთავრესი კლასისაგან — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატისგან. პროლეტარიატისთვის აუცილებლათ საჭიროა ბურჟუაზიული წესწყობილების დანგრევა და სოციალისტური წესწყობილების დამყარება; ბურჟუაზიისთვის კი არსებული წყობილების დაცვა და მისი ხელუხლებლათ დატოვება. ბურჟუაზიულ წესწყობილებაში მუშათა კლასი იყვლიფება, ის დამონავებულია, დაჩაგრულია და აბუჩათ აღებული: იტყვის ამაზე რამეს ამისათვის ციხე, ტყვია და საყრჩობელაა, არ იტყვის და — შიმშილით სიკვდილი, მომავალ სოციალისტურ წესწყობილებაში ის ისეთივე თავისუფალი ადამიანია, ისეთივე მოქალაქეა, როგორც სხვა. ამნაირი წესწყობილების დამყარებაა მუშათა კლასისათვის საბოლოო მიზანი, ეს არის მისი აღთქმული ქვეყანა! ბურჟუაზიისთვის კი დღევანდელი წესწყობილება აღთქმული ქვეყანა, აჰაა მათი სამოთხე! აქ არიან ისინი ქებული და დიდებულნი, აქ შეუძლიათ მათ უშრომლათ განცხრომა და ფუფუნება.

დღევანდელ რუსეთის რევოლიუციაში ეს ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასი, ეს ორი სხვა-და სხვა ხანის მოტრფიალე კლასი, ორივე რჩებიან, ორივე მოგებაშია დღევანდელი რევოლიუციით და ორივენი იზრდებიან.

**გ. თელია.**

(შემდეგი იქნება)

გობამ აალელვა. ხალხის ერთ სულოვ ნებამ იერიშმა იძულებული გახადა სანადელო ადგილის დამქირავებელი ხელი აეღო ამ ადგილზე: მამასახლისს კი გამოუცხადეს, რომ ის ასეთ თვითნებობას აღარ სჩადიოდეს, სოფლის ფულებს აღარა ფლანგავდეს თავის სასარგებლოთ. მეორე დღეს გაბრაზებული მამასახლისი მიუვარდა ყოვლად უდანაშაულო და პატიოსან კაცს აბელ ისააკოვს, გაამათრახა და დააპატიმრა კიდეც,—ხალხი შენ გადამირიეო. ამავე საათში გმირი მამასახლისი გაემგზავრა სიღნაღში, ალბათ ამით უნდოდა ხალხისთვის შიში ეჩვენებინა. და ამის დამქაშებმა ხმებიც გაავრცელეს, მოიყვანს ყაზახებსაო და ვინც მამასახლისის მოწინააღმდეგენი არიან სულ ააწიოკებენო. მაგრამ ის ხეები დაიბღერტა როცა ესეთი ლათაიებით გლეხებს ოვალებს უხვევდნენ და აშინებდნენ. საღამოს ხანს, როცა მუშაობიდგან ხალხი მოვიდა, და ეს ამბავი გაიგო, მაშინვე შეიკრიფნენ და დაპატიმრებული აბელ ისააკოვი გამოუშვეს სატუსაღოდან და სარევოლიუციო სიმღერებ თ წამოიყვანეს.

ეკლი.

# რუსეთი

**ჯარი და რევოლიუცია** ამ დღეებში გენერალ მინთან (მინი მოსკოვის აჯანყების ცნობილი „დამამშვიდებელია“) მივიდა ერთი სალდათი და გამოუცხადა, რომ სემიონოვის პოლკის ჯარის კაცთა ჯგუფმა გადასწყვიტა: „მის სისხლში განბანონ თავიანთი შტიკები“, იმ გაკვეთილისათვის, რომელიც მან მოსკოვში მისცა თავის ჯარის კაცებს. მინი დროებით სადღაც მიიმალა.

— ამ დღეებში გაზეთებში დაბეჭდილი იყო ელისავეტგრადში მყოფ დონის კაზაკთა მისალმება დეპუტატ სედელნიკოვისადმი. უფროსმა უბრძანა კაზაკებს, გამოაცხადეთ, ვითომ ის მისალმება სხვისი შედგენილი ყოფილიყოო. კაზაკებმა უარი განაცხადეს ასეთ უსინდისო საქციელის ჩადენაზე.

— კოსტრომაში მყოფ ზარაისკი პოლკში მღელვარება დაიწყო.

— ამას წინათ ვერხნედნეპროვსკში კაზაკების ყაზარმები დაიწვა. როგორც გამოირკვა, ცეცხლი თვით კაზაკებს წაუკიდებიათ ყაზარმებისათვის, რადგან ძალიან გაბრაზებული ყოფილან თავიანთი პოლიციური სამსახურის გამო, მოთხოვნილებები შეუმუშავებიათ და უარი მიუღიათ.

— ქ. ტულის საპიორთა ბატალიონში ერთ კვირაზე მეტია რაც მღელვარება დაიწყო. მოსკოვიდან ასტრახანის პოლკი გამოიწვიეს საპიორებ-ს დასაწყნარებლათ. ურჩი ბატალიონი ერთ თავათ დააპატიმრეს და ნაწილ-ნაწილათ ტულის სატუსაღოში გაგზავნეს.

— გუშინ ჩვენ ვწერდით, პეტროპავლოვის ციხეში მომხდარ სალდათების არეულობაზე. ამ მღელვარების შესახებ ახლა სასტიკი გამოძიება სწარმოებს. გარეშე პირთაგან არავის იკარებენ ციხის სიახლოვეს, ციხეში მყოფ ჯარის კაცებს კი არსად უშვებენ. ვინც უფრო შეგნებული გავლენიანი სალდათი იყო მიყრუებულ გარნიზონებში გადაიყვანეს.

**გოროდოვოების მღელვარება.** პეტერბურგში გოროდოვოებშიაც დაიწყო მღელვარება. 1 უბნის გოროდოვოები გაიფიცნენ და გამოაცხადეს, მანამ არ გავალთ ჩვენ პოსტებზე, სანამ ემერიტალურ კასაში შენახულ ფულს არ დაგვიბრუნებთო. უფროსები ბევრს ემუდარენ, ბევრს ეხვეწენ, მარა ვერას გახდენ: გოროდოვოები არ გავიდენ სამსახურში. გარდა პირველი უბნისა სხვა ნაწილებშიც დაიწყო მღელვარება. გოროდოვოებმა გადასწყვიტეს მხარი დაუჭირონ თავიანთ ამხანაგების სამართლიან მოთხოვნას.

**გლეხთა მოძრაობა** მთელ სამხრეთ და ცენტრალურ რუსეთს მოედო. განსაკუთრებით მძვინვარებს მღელვარება ვორონეჟის, კიევის, ორიოლის, სარატოვის და სხვ. გუბერნიებში. მემამულეები გარბიან თავიანთ მამულებიდან ეკონომიები და ბეღლები იწვის. გლეხები განუწყვეტლივ მსჯელობენ თავიანთ მდგომარეობის შესახებ, უმეტესობა გაფიცულია.

**ფული რა იქნა?** გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ჩვენ „მეომრებს“ მანჯურიაში ომის გათავების შემდეგ 30.000 ცხენი მიუყიდიათ ჩინელებისათვის. ფული კი არსად არის.

**საიდუმლო აგენტებს** 27 კაცი მიუმატეს პეტერგოფში. ტრეპოვს 26 აგენტი ყავს მიჩენილი. გარდა ამისა 200 ჯაშუში საზღვარგარეთ გაუგზავნიათ; ვიტეს და დურნოვოს კარგა ბლომათ ყავთ რუსეთიდან წაყვანილი ჯაშუშები.

— გასულ კვირაში, რამდენიმე დღის განმავლობაში 19 სალდათი შეიპყრეს პეტერბურგში.

# პარტიის ცხოვრება

**ლატიშების სოციალდემოკრატია და სახელმწიფო სათათბირო.** რ. ს.-დ. მ. პ. შემაერთებელ სიეზდის შემდეგ, რომელმაც მიიღო საერთოთ ლატიშთა ს.-დ. მ. პარტიის კონფერენციის მიერ შემუშავებული პროექტი შეერთების შესახებ, ჩვენი პარტიის რ. ს.-დ. მ. პარტიაში შესვლის საქმე ახლო მომავალში გადაწყდება. ასე რომ რაღაც ერთი თვის შემდეგ ლატიშთა ორგანიზაცია, რომელსაც 10,000 წევრი ჰყავს რუსეთის პარტიას შეემატება. გაზეთებში აღნიშნული იყო კიდეც, რომ ამხ. ლატიშები არ ეთანხმებიან პარტიის „ახალ“ ტაქტიკას და საეჭვოა, რომ ასე ადვილათ უარყონ თავიანთი ტაქტიკა და უდრტვინველათ დაემორჩილონ პარტიის „ყოფილ უმცირესობის“ მიმართულებას. მე მინდა უფრო დაწვრილებით გავაცნო რუს ამხანაგებს ის შეხედულებანი და აზრები, რომელიც ამ ჟამათ ლატიშთა ს.-დ. მ. პარტიაში მეფობს.

ჯერ კიდევ შემაერთებელ სიეზდამდის ლატიშ ამხანაგების კონფერენციამ, რომელმაც ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია სახელმწ. სათათბიროს შესახებ:

„ლატიშთა ს.-დ. მ. პარტია იღებს რა მხედველობაში, 1) რომ სახელმწიფო სათათბირო მოკლებულია კანონმდებლობითი და ხარჯთ-აღრიცხვითი უფლებებს და მოთათბირის როლიც მეტათ შევიწროებული აქვს სახელმწიფო საბჭოს წყალობით; 2) რომ სახელმწ. სათათბიროს უფლებები სრულიადაც არ არის უზრუნველ ყოფილი; რომ სახ. სათ. არჩევნები არ მომხდარა საზოგადო, თანასწორი და პირდაპირი წესებით და სწარმოებდა პოლიციურ და სამხედრო დიქტატურის დროს; 3) რომ, ამის დაგვარათ, მუშებმა ყოველგან ბოიკოტი გაუწიეს არჩევნებს, რის გამოც კადეტებმა გაიმარჯვეს არჩევნებში; 5) რომ რევოლიუციის მომავალ მსვლელობის დროს ბურჟუაზია იძულებული გახდება პოლიტიკური უფლებანი მუშების და გლეხების ფართო მასას გაუნაწილოს; 6) რომ ასეთი პოლიტიკური უფლებების მოპოვება მხოლოთ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ რომ თვითმპყრობელობის „მსახურთ“ ძალით გამოვგლეჯავთ ხელიდან მართვა-გამგეობის სადავეებს და დავაარსებთ დემოკრატიულ რესპუბლიკას; 7) რომ, რაც უფრო გამწვავდება კლასიური წინააღმდეგობა, მით უფრო მიიწევს ბურჟუაზია მთავრობისკენ მუშების წინააღმდეგ; 8) რომ ახლანდელი სახელმწ. სათათბირო, რომელიც არ ეყრდნობა მუშათა და გლეხთა მასას, მოკლებულია რევოლიუციონურ ტაქტიკას, მიუხედავათ იმისა, რომ იძულებულია ოპოზიციაში უდგეს მთავრობას,—აცხადებს: 1) რომ ახლანდელი სახ. სათ. ხალხის წარმომადგენლობის უტიფარ ფალსიფიკაციას წარმოადგენს; 2) რომ ერთათ ერთი ძალა, რომელიც აიძულებს სათათბიროს, ხალხს დემოკრატიული რეფორმები „უბოძოს“ (მეფის ნებართვით)—რევოლიუციის შიშია; 3) რომ პროლეტარიატი უარყოფს და ბოიკოტს უცხადებს ყველა კანონებს და ხარჯთ-აღრიცხვას, რომელიც დუმის თანხმობით გამოდის, თუ რომ მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ იქნება მიმართული; 4) მოაგონებს, რომ მხოლოთ დამფუძნებელი კრება გამოიყვანს ქვეყანას ახლანდელ მდგომარეობიდან... აი ტაქტიკა, რომელსაც ვერ უღალატებს ლატ ს.-დ. პარტია. მენშევიკების ტაქტიკას გასავალი არა აქვს არც შეკავშირებულ მუშებში და არც მასაში.

# მუშათა ცხოვრება.

**ფარმაცევტები.** 8 ივლისისათვის ქალაქის ფარმაცევტების ცენტრალურ საავადმყოფოში დანიშნული იყო კრება. მიუხედავათ იმისა, რომ ფარმაცევტების დიდი უმრავლესობა კრებას არ დაესწრო (250 კაციდან იყო 19 კაცი) მაინც შეუდგენ საქმეს, შეიმუშავეს წესრიგი: ფარმაცევტების ბიუროს რეორგანიზაციაზე. ამხ. შკარტმა შეიტანა წინადადება: „თუმცა ჩვენ უმცირესობას შევადგენთ, მარა მაინც ამოვირჩიოთ ახალი ბიუროვო, თუ ვინიცობაა ის უმრავლესობამ არ იცნო, მაშინ ხელახლათ მოვახდინოთ არჩევნები. შემდეგ ილაპარაკა თავმჯდომარე სვანიძემ: „რადგანაც ამ კრებაზე არ არის უმრავლესობა ჩვენ შეგვიძლია სუყველაფერზე ვილაპარაკოთ. მაგრამ ამას ექნება ზნეობრივი და არა იურიდიული—გადამწყვეტი მნიშვნელობაო. ქაჯაიამ შეიტანა წინადადება, რომ რადგანაც ძველათ არჩეული ბიუროს ბევრი საქმეები ქონდა, ვერაფერს ვერ აკეთებდა. აი ამ მოსაზრებით ამოვირჩიოთ ახალი დროებით ბიურო, ვიდით მეორე კრებამდისო, მეორე კრებაზე კი წარუდგინოთ კრებას ისინი კანდიდატებათო და თუ ისურვებენ გამოცვალონო. მეორე კრებამდის კი მივანდოთ ისეთი საქმეები, რომელნიც სასწრაფოთ უნდა გაკეთდესო. ბ. აფთიაქარს კოჩინევს დიდათ ეწყინა ეს. მაგრამ ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას, გარდა სვანიძისა. ისინი ამტკიცებდენ, ჩვენ ვერ შევძელით საქმის გაკეთება იმიტომ, რომ რეაქცია გვიშლიდა ხელსო, (განა ახლა არ გვიშლის ხელს?). მეორე ბიუროს წევრი (გაბუჩია) შეუდგა ენერგიულათ მტკიცებას, რომ არ შეიძლებოდა საქმის გაკეთებაო და იმიტომ ვერ ვაკეთებდით. აი მისი საკუთარი სიტყვები. „თუმცა ბიურო ამდენხანს არაფერს არ აკეთებდა, მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვერც აწი გააკეთებს და ამიტომაც არ უნდა გამოვცვალოთო, გობუჩია ამბობს, რომ დღემდის ვერც პარტიები მოქმედებდაო. (რასაკვირველია იგულისხმეთ პოლიტიკური პარტიები). შემდეგ აიღო სიტყვა ისევ ამხ. კოლიამ, რომელმაც აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ თავმჯდომარე სვანიძე დიდათ ცდება როდესაც ამ კრებას უწოდებს დამფუძნებელს: დამფუძნებელი კრება უნდა შესდგებოდეს უმრავლესობისაგან და მარტო ამისთანა კრებას უწოდოს დამფუძნებელი. ჩვენ არ გვაქვს ზნეობრივი უფლება, რომ ჩვენ უმცირესობის დადგენილება უმრავლესობას მოვახვიოთ თავზე. ბ. სვანიძეს არ ესმის როგორც სჩანს არც დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა, და არც ზნეობრივი და იურიდიული კანონების ერთმანერთში გარჩევა. თავმჯდომარემ შეაჩერა ორატორი. თუმცა მას არ ქონდა არავითარი უფლება შეაწყვეტინოს სიტყვა ასეთ დროს. ამიტომ ორატორმა განაგრძო ლაპარაკი, მაგრამ თავმჯდომარემ კიდევ დაიყვირა, „მე ვარ და არ გაძლევთ ნებასო“. არ მაძლევთ მარა მაინც ვიტყვი, რომ აქ მყოფი გობუჩია უსინდისოთ ცილს წამებს პარტიებს. ამ სიტყვებმა სრულებით გამოიყვანა მოთმინებიდან თავმჯდომარე და ძალით აწყვეტინეს სიტყვას. შემდეგ დაიწყეს ფორმალურათ არჩევნები, მაგრამ აირდაირია საქმე და არჩევნები ჩაიფუშა, რაიც კიდევაც უნდა მომხდარიყო ესეთ კრებაზე. კრების მოწვევა მიანდვეს ბ. აფთიაქარ კოჩინევს, რომელიც უნდა მოხდეს ან 11-ს და ან 12 ივლისს.

შტიკი.

—

**ველაბრის ტეატრის მოსამსახურეები.** ველაბრის ტეატრის მოსამსახურეები ითხოვენ:

1. მოისპოს დღიური ჯამაგირი და დაწესდეს თვიური.
2. დაენიშნოს დეკარატორს თვეში 20 მან. და მისს თანაშემწეებს თითოს 5 მანეთი.
3. ეძლეოდეს სამუშაო ტანისამოსი.
4. მიეცეს ორს შვეიცარს 25 მან. თვეში და ახალი ტანისამსი.
5. ორს კაპელდინერს ეძლეოდეს თვეში 26 მან. პროგრამები და ახალი ტანისამოსი.
6. გაფუჭებულ და გატეხილ ნივთების შეძენას თეატრის პატრონის ხარჯზედ.
7. უფროსებისაგან ზრდილობიან მოპყრობას.
8. ახალ მოსამსახურეების მიღება და ძველების დათხოვნა მოსამსახურეებს ეკითხებოდეს.
9. გაფიცვებისა მიეცეთ სრულიად.
10 თვეში ერთხელ ით-ათ შაურს აბანოსათვის.
11. თავისუფლებას წელიწადში ერთხელ თითო თვით ჯამაგირის და ადგილის შენახვით.
12 ავადმყოფობის მუქთს წამლობას და ექიმს ჯამაგირის შენარჩუნებით.
13. თუ თეატრის პატრონი მოისურვებს ვისმეს დათხოვას გამოეცხადოს ორი კვირის წინათ და მიეცეს სამი თვის ჯამგირი

თუ ყველა ამ მოთხოვნილებს არ დააკმაყოფილებს თეატრის პატრონი გაფიცვა გაგრძელდება.

# ღია წერილი ამხანაგებს.

**რათ ჩამოვშორდით ძველ ორგანიზაციას?**

კარგა ხანია, რაც ჩამოვშორდით რამოდენიმე ამხანაგები არსებული სოც.-დემოკრ. ორგანიზაციას და დავაარსეთ ეგრეთ წოდებული „მუშათა კავშირი სოციალ-დემოკრატებისა“. ამ სახელის გაგონებაზე ზოგიერთი ამხანაგები ამაყურად ჩაიცინებენ; ნუ თუ გვონიათ იმათ რაიმე სერიოზული შეიძლონ ან მათში რამე ეყაროსო, და დაიწყებენ თავიანთებურად ლამაზი სიტყვებით ლალადებას, რომლის რწმენა დიდი ხანია ჩვენ დავკარგეთ. ჩვენ ვიტყვით, რომ ასეთი საქციელი (დაცინვა და ლანძღვა) იმ ამხანაგებისა საფუძველს მოკლებულია: თუ ისინი ჩვენ კარგად გვიცნობენ და მიზეზი გამოყოფისა და მიზანი ჩვენი დაწვრილებით იციან,—აქ უსაბუთობა და უპრინციპო არაფერი არ არის, და, თუ არც მიზეზი და არც მიზანი იციან, მაშინ სულაც არა აქვთ სიმართლე ირონიის თვალით გვიცქირონ. გვითხარით, რა იყო მიზეზი ჩამოშორებისა და რა არის მიზანი თქვენიო—გვეტყვიან ისინი ჩვენ. ჰო და შევეცდებით, გულში რაც გვაქვს თუ სულ არა, ზოგიერთი მიზეზები მაინც აეხსნათ და მიზანიც აღვნიშნოთ. მხოლოთ, სანამ ამას შეუდგებით საჭიროდ ვცნობთ ვთქვათ, რომ ჩვენ არ ვაყენებთ ახალ პარტიულ დროშას და წმიდად მიგვაჩნია მთელი რუსეთის სოც.-დემოკ. ნება; თანაც დაუმატებთ, რომ ჩვენი ჯგუფის კარებზე არ აწერია აღარც „მეუმრავლესინი“ და აღარც „მეუმცირესენი“, რომელიც დიდი ხანია ღრღნი. და პარტიულ ორგანიზმს. „მაშ რად ჩამოგვშორდით, თუ აგრე არა გვწამს პარტიული მძულვარება“ — გვკითხავს ყველა ისინი, ვისაც ხმა მაღალი სიტყვები, კარგა ნაქარგი დროშები და მშვენიერი პლანები ისევე სჭამთ, როგორც საქმე! დიახ, ამხანაგებო, ჩვენც კი ვიყავით მოხიბლული იმ გულის წარმტაცი სიტყვებით, მაგრამ დღეს, როდესაც რევოლიუცია და რეაქცია სერიოზულათ დაუპირდაპირდა ერთმანეთს, როდესაც გამხეცებული და გათახსირებული თვითმპყრობელი მთავრობა დღე და დღე უმატებს თავის ყოვლად—საზიზღარ თარეშობას და ყოველ დღე ირწყვება ქუჩა ამხანაგ მუშების სისხლით,—ვერ ფეგვა-

კავშირის დამაზმა სიტყვებმა, მოვშორებით არა საიმედო ქებულ ოცნებებს და უწარე სინამდვილეს შევხედით: აგვეხილა თვალები და ნათლათ დავესურათ ხატა ძველი ორგანიზაციის ბუნება; მისი ხელმძღვანელობის დროშამაც იბრუნა ნამდვილი პირი, და გამომზეურდა სარჩული, რომელზედაც მკაფიოთ აწერია: „კერძო თავმოყვარეობა, კერპთაყვანის მცემლობა და წოდებრიობა პარტიაში“. ✓ გაჩნდა „თავადები“, „აზნაურები“, „ოფიცრები“ და „რიადოვოები“ პარტიაში. დაიწყეს (როგორც ასეთ „დაწესებულებას“ შეჰფერის) ნათლიმამური ოინბაზობა! ვინც ადგილობრივ კერპების მიმართ ჯეროვან კეთილ-მსახურებას ვერ გამოიჩენდა,— „მავნე ელემენტი“, „ხიზანი“ შეიქნა პარტიაში; ხოლო, ვინც კარგათ ასრულებდა იმავე კერპთა მღვდელ-მსახურების ტიბიკონის მუხლებს, - „კეთილ-შობილებათ“ ჩაითვალა და მისი გზა ხსნილი შეიქნა ყოველგან! ყოველი კითხვა წყდებოდა „კეთილ-შობილთა ბუნაგში“ და, შემდეგ კი მრავალ-გვარ მახინაციებით გადადიოდა ქვეით: თუ მუშის წრფელი გულის პასუხი „აზნაურების“ პლანებს არ ეთანხმებოდა,—ამოძრავდებოდა მთელი ბუნაგი და ყოველ-გვარ სიმართლეს სიმრუდით სთრგუნავდნენ... ბევრი ხანი არ არის, რაც გვპირდებოდა ძველი ორგანიზაცია,—ჩემი მრწამსის პირველ მცნებას პარტიულ წევრების თვითმოქმედება შეადგენსო, მაგრამ დღეს საყოველთაოდ გამომზეურდა, რომ ეს მარტო სიტყვა ყოფილა... სიტყვა და სიტყვა .. დემოკრატიზმი პარტიაში ისეა გატარებული, როგორც ნიკოლოზ მე II-ის სასახლეში და ვიტტე-დურნოვოს კაბინეტებში. ამხანაგი კობა სწერს (იხ. „ახალი ცხოვრ.“ მე 5 №) მეორე ნაკლულევანება იმაში შესდგება, რომ პარტიულ ორგანიზაციაში სავსებით არაა გატარებული დემოკრატიზმიო“. ჩვენ ვიტყვით, რომ ეს ნაკლულევანება, რომელიც არის არა მეორე, არამედ მეორმოცე, არა თუ არაა გატარებული,—არც კი უსუნებია აქაურ პარტიულ ორგანიზაციას, ფეხქვეშ არის იგი გათელილი „ტრიბუნის ყვავებისაგან“. ამასაც გვისაყვედურებს ამხანაგი კობა (იხ. „ახალ ცხოვრ.“ იმავე №-ში), რომ რათ ჩამოშორდით არსებულ ორგანიზაციასო! ეს კი ვერ წარმოუდგენია მას, რომ ასეთ [illegible]-ებში შეუძლებელი იყო შიგნიდან ბრძოლა! სხვაც რომ არ ვიქონიოთ, ამხანაგო, სახეში, ნუ თუ ის ვერ წარმოიდგინეთ, რაფერ მოუხერხებელია „ხიზნებისთვის“ თქვენგან ნაჩვენები გზით „თავადაზნაურებთან“ ბრძოლა, ნამეტურ, როდესაც მებრძოლი ხიზნები მიკროსკოპიულ ნაწილს შეადგენენ შედარებით... მაგრამ თქვენ კიდევ არაფერი. თქვენ თუ შენიშვნებს გვაძლევთ—ჩვენს მოთხოვნილებას მაინც სამართლიანათ აღიარებთ.

ჰო, ასე და ამნაირად, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეთავსებია ერთად სოც.-დემოკრატიული პრინციპების სამსახური და კერპთაყვანისმცემლობა, ვერ ავიტანეთ პრინციპების აღებ-მიცემაზე ინდეფერენტულად გვექცია და განვიზრახეთ ასეთების კრიჭაში ჩადგომა და პარტიაში დემოკრატიზმის გატარება, „გალიცინ-მიშკოვებისგან“ გაწმენდა, და ნამდვილი პროლეტარული ორგანიზაციის შექმნა. ამასაც დავუმატებთ, რომ რევოლიუციას ჩვენ სერიოზულათ ვუყურებთ და აუცილებლათ ვცნობთ მისთვის სერიოზულ მომზადებასაც; ვიცით, რომ რევოლიუციასა და ევოლიუციას შუა დიდი განსხვავება და მასაც ვხედავთ, რომ დღეს რევოლიუციო ური ხ ნაა... (გამგები გა-გებს)

რე ორგანიზაციის შესახებ ამას ვიტყვით, რომ ძალიან იმედის თვალით ვუყურებთ მას, თუ იგი საქმით გატარდა მართლა და, ჩვეულებისამებრ, პლანათ არ დარჩა.

ჩვენ სასტიკ შეურაცხყოფათ მიგვაჩნია, რომ ისეთ წმინდა პარტიას, როგორიც არის სოც.-დემოკრატ.—კრიტიკას უკეთებდეს „მუშ“, „როსსია“ (იხ. გაზ. „როსსია“ № 159), და სხვა არასოციალისტური კადეტ-ლიბერალური ორგანოები, რომელთაც სალანძღავ საბუთებს აძლევს ძველი ორგანიზაცია თავისი სხვილი და მეტად მნიშვნელოვანი შეცდომებით. აღარ შეგვიძლიან არ ჩაუდგეთ კრიჭაში ასეთ ამხანაგებს და ორგანიზაციის ნაკლულევანება არ გავაგებინოთ ჩვენისთანავე მუშებს. აი, ამხანაგებო, რაშია საქმე და რას ცდილობს მუშათა კავშირი სოციალ-დემოკრატებისა.

**ლილუ-მერმეწა.**

---

**რედაქციისაგან**. ვბეჭდავთ რა ამ წერილს, ვხელმძღვანელობთ შემდეგი მოსაზრებით. ჩვენი აზრით შემცდარია ის ტაქტიკა, რომელიც ხელს აფარებს ყოველგვარ უკმაყოფილებას ორგანიზაციაში და ცდილობს მეხანიკურათ ჩააქროს იგი. ყოველივე უკმაყოფილებას თავისი მიზეზი აქვს, ამიტომ უკმაყოფილების გასაფანტათ საჭიროა მისი დამალვა კი არა, არამედ შარაზე გამოტანა და სინათლეში გამომზევება: ამით ამხანაგებს შეძლება ეძლევათ დააფასონ უკმაყოფილების საბუთიანობა, მოსპონ მისი მიზეზები და მით ნიადაგი შეუმზადონ ორგანიზაციის მთლიანობას. მხოლოთ ამ გზით შეიძლება დამყარდეს ორგანიზაციის ერთიანობა. აი რატომ ვუთმობთ ადგილს ამ წერილს, მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთ ადგილებში არ ვეთანხმებით მის ავტორს.

---

# დეპეშები

(„პეტერბურგის სააგენტოსაგან“)

**10 ივლისი.**

**პეტერბურგი**. გუშინდელმა დღემ პეტერბურგში მშვიდობიანათ ჩაიარა. მცხოვრებლებმა სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის ამბავი დამშვიდებულათ მიიღეს. მოსკოვიდან, იაროსლავიდან, ჟიტომირიდან და ბაქოდან იტყობინებიან, რომ სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნას მშვიდობიანათ შეხვდენ. ესენტუკში როცა პარკში მოსეირნე ხალხმა გაიგო დუმის დათხოვნა პარკი სრულიად დაცარიელდა. ბევრი სტოვებს აგარაკს.—ქალაქ სიზრანსა და სიზრანის მაზრაში გაძლიერებული დაცვის წესები გამოცხადდა.

**პეტერბურგი**. „ნოვოე ვრემია“ იტყობინება, რომ ვიბორგში 9 ივლისს ბჭობა ჰქონდათ სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ წევრებს. სხდომას 185 კაცი დაესწრო. თავმჯდომარე მურომცევი იყო. ფრაქციების წინასწარ მოლაპარაკებაზე გადასწყვიტეს არ დაუშვან სხდომაზე არც ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელნი და არც კადეტთა ცენტრალური კომიტეტის წევრები; ამ გვარათ ბჭობას ნამდვილი სათათბიროს ხასიათი ექნება. სხდომა სასტუმრო ელვედერში სწარმოებს.

**პეტერბურგი**. გრადონაჩალნიკის განკარგულებით აკრძალულია დემონსტრაციების გამართვა, კრებები, მანიფესტაციები, დროშები, სიმღერა, სიტყვების წარმოსთქმა, გაფიცვისკენ მოწოდება, ფულების შეკრება. აკრძალულია აგრეთვე სხვა-და-სხვა მოწოდებების და პროკლამაციების გავრცელება. ამ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისთვის დამნაშავეს ელის 3,000 მანეთი ჯარიმა ან სამი თვით დატუსაღება.—შირინსკი—შახმატოვი უმაღლესი უკაზით გადაყენებულ იქნა უწმინდესი სინოდის ობერპროკურორობიდან.—გაზეთი „რეჩი“ ვიბორგში სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე იტყობინება, რომ ვიბორგის გუბერნატორი შეეკითხა სხდომის შესახებ სამხედრო მთავრობას. დაბრკოლება არაფერი ყოფილა. სხდომის წინ თათბირი ჰქონდათ სხვა და სხვა ფრაქციებს: მშრომელთა ჯგუფს, ხალხის თავისუფლების პარტიას და სოციალდემოკრატებს. ოკტიაბრისტების კრება არ შესდგა, რადგანაც ძალიან ცოტა წევრები არიან მოსული. საზოგადო სხდომაზე მხოლოთ დუმის წევრები დაესწრებიან. საზოგადო სხდომაზე არ დაუშვებენ არც სახელმწიფო საბჭოს წევრებს. ზოგიერთები ვიბორგში ჩამოვიდენ. სხდომა ღამის 2 ს. შეწყდა, მეორე დღემდის. ელიან პოლონეთის ვოლოს და სხვა ფრაქციებს. მურომცევს ატყობინებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რომ საჭირო ფულები გადაეცემა სახელმწიფო მდივანს, რომელიც დააკმაყოფილებს სათათბიროს წევრების ხარჯს, მანამდის, სანამ ისინი თავთავის ბინაზე დაბრუნდებიან.—ამ ჟამათ პეტერბურგში თავმოყრილია არმიის 40 ბატალიონი, გვარდიის კავალერია და 4 ტყვიის მტყორცნელი როტა. რკინის გზის ვოგზალები ჯარებით არის სავსე.—გუშინ სადოვოი ქუჩაზე, „ნამდვილ რუსთა საზოგადოების“ სახლის ახლოს შეტაკება მოხდა ხალხსა და ჟანდარმ-პოლიციელთა შორის.

**ბაქო**. „პრომისლებზე“ გაფიცვა არ შეწყვეტილა. მოხდა მუშების მიტინგი. დაადგინეს შეაჩერონ მუშაობა ყველა პრომისლებში. გაიფიცნენ როტშილდის ქარხნის მუშები,

**გელსინგფორსი**. ქალაქის გარეთ წითელმა გვარდიამ და მუშებმა მიტინგი გამართეს. მიტინგს დაესწრო 200 რუსი; სხვათა შორის სახელმწიფო სათათბიროს წევრები მიხაილიჩენკო და გომართელი და მწერალი ანდრეევი. წარმოსთქვეს სიტყვები რუსულ ენაზე. მუშები ანდრეევს დიდი ოვაციით შეეგებენ.

**კოვნო**. იუბურგში დაიწვა 150 ებრაელის სადგომი.

**პეტერბურგი**. 12 ივლისს დანიშნული სახელმწიფო საბჭოს სხდომა აღარ შესდგება; ამის შესახებ დღეს საბჭოს წევრებს უწყებებს გაუგზავნიან.

— მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სამინისტროს განახლებას შეუდგა. გურკოს დანიშვნაზე ჯერ არაფერი ისმის.

**პეტერბურგი**. დაატყვევეს გაზ „რეჩი“-ს და „XX ვეკის“ დღევანდელი ნომრები.

**ვიბორგი**. შესდგა სახელმწიფო სათათბიროს სხდომა. დილას მოვიდენ გეიდენი და სტახოვიჩი. მთელი დუმა ახლა ვიბორგშია. გადასწყვიტეს გამოსცენ მოწოდება, რომელსაც 6 კაცი ადგენს. კადეტების შედგენილი მოწოდება მშრომელმა ჯგუფმა შეასწორა. კაკადეტთა პარტია თავს დეპუტატებათ არ სთვლის, რადგანაც მას შემდეგ, რაც მოხდა, მისი წევრები ხალხის წარმომადგენლები აღარ არიან. მშრომელთა ჯგუფი ხალხის წარმომადგენელია და ახალი დუმის მოწვევამდის მისი წევრები არ დაიშლებიან. დეპუტატებში უთანხმოებაა: ზოგს არ უნდა მოწოდებაზე ხელის მოწერა. თავ. დოლგორუკოვი გუბერნატორმა გამოიწვია და ურჩია საჩქაროთ დაასრულონ სხდომა, რადგანაც ხვალ ვიბორგში საომარი დროის წესებს მოაცხადებენ.—მოწოდებას ხელი მოაწერეს ყველა წევრებმა, გარდა გეიდენისა და სტახოვიჩისა. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით ვიბორგის გუბერნატორმა შეატყობინა შეკრებილებს, რომ სხდომა დაუყონებლივ უნდა დაიხუროს. სათათბიროს წევრებმა ყოველგვარ უთანხმოებას თავი დაანებეს და მიიღეს მოწოდება. დეპუტატების უმეტესობა 4 საათის მატარებლით პეტერბურგში წავიდა. გრაფმა გეიდენმა და სტახოვიჩმა სხდომაზე მარტო ნახევარი საათი დაჰყვეს.

**პეტერბურგი**. გამოქვეყნებულია უმაღლესი უკაზი უმართებლესი სენატის სახელზე.—„სახელმწიფოს ძირითადი კანონების 99 მუხლის ძალით ვუბრძანებთ, შეჩერებულ იქნას სახელმწიფო საბჭოს სხდომები 1907 წლის 20 თებერვლამდის. უმართებელესმა სენატმა შესაფერი განკარგულება მოახდინოს ამ უკაზის შესახებ“. დედანზე მისი უდიდებულესობის საკუთარი ხელით მოწერილია „ნიკოლოზ“. ნაბოძებია პეტერჰოფში 1906 წელს 10 ივლისს.—დონის მხედრობის ოლქის ტაგანროგის ოკრუგში საომარი დროის წესები გამოცხადდა. გზათა მინისტრის წინადადებით განახლებულ იქნა 1905 წლის 11 დეკემბრის წესები რკინის გზის განსაკუთრებული დაცვის შესახებ. ამ წესების ძალით დამნაშავეებს სამხედრო სამართალში მისცემენ. ამ გვარივე განცხადებები გააკრეს პეტერბურგის ვოგზალებზე.—დღეს ქარხანა-ფაბრიკებში აირჩიეს ახალი „მუშათა დეპუტატების საბჭო.“ დღეს მოხდება ამ საბჭოს პირველი სხდომა.—ფაბრიკანტებმა გააკრეს განცხადებები, რომლებშიდაც ამბობენ, რომ მუშების მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ გაფიცვა სწარმოებს.

**პეტერბურგი**. დღევანდელი დღე მშვიდობიანათ გათავდა. მოსკოვიდან და სხვა პროვანციებიდან იწერებიან, რომ მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

**ხარკოვი**. სატუსაღოდან გაიქცა 20 ტუსაღი. იმათ დასაჭერათ გაგზავნეს კაზაკები და დრაგუნები.—გაზ. „ნაკანუნე“ დახურეს. სტამბა დაბეჭდეს.

**კისლავოდსკი**. სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის გამო შეწყდა მუსიკა და ყოველივე გასართობები. დიდძალი ხალხი შეიკრიბა და წითელი დროშებით და სიმღერებით პარკი გაიარა. შესდგა მიტინგი. წარმოსთქვეს სიტყვები. წესიერება სამაგალითო იყო. პოლიცია არად სჩანდა. 10 ივლისისთვის დანიშნულია მიტინგი. მალაზიებს, დახურავენ.

**სარატოვი**. დაატყვევეს „სარატოვსკი დნევნიკ“-ის დღევანდელი ნომერი. დაიჭირეს აუარება ხალხი. სხვათა შორის „პრივოლჟსკი კრაის“ რედაქტორი და თანამშრომელი.

**სიმბირსკი**. ყაზანის იარმუკაზე შეკრებილმა ხალხმა არეულობა მოახდინა: ითხოვდენ დაჭერილი გლეხის განთავისუფლებას. ხალხს ახალგაზრდობა შეუერთდა. სტრაჟნიკებს ქვები დაუშინეს, ღაჰკრეს ერთი სტრაჟნიკი მძიმეთ, ორი მსუბუქად. ხალხიდან ვიღაცამ ისროლა. მაშინ სტრაჟნიკებმა ჰაერში ისროლეს ოთხჯერ. ხალხის მხრით დაშავებულები არ სჩანან.

---

რედ.-გამომც. **ნ. ახმეტელაშვილი.**

ელექტრო მბეჭდავი „ლაკაარი“ სემენოვის ქუჩა № 4.